

**მძიმე სამშენებლო ტექნიკის
(ავტოგრეიდერი, სატვირთველი და ჰიდრავლიკური ექსკავატორი) ოპერატორი 040777**

პროფესიული სტანდარტი

I. სფეროს აღწერა:

მძიმე სამშენებლო ტექნიკის (ავტოგრეიდერი, სატვირთველი და ჰიდრავლიკური ექსკავატორი) ოპერატორი ინჟინერიის მიმართულების, ტრანსპორტის დარგის კვალიფიკაციაა. წარმოდგენილი პროფესიული სტანდარტის მიხედვით, მძიმე სამშენებლო ტექნიკის , კერძოდ, ავტოგრეიდერის, სატვირთველის და ჰიდრავლიკური ექსკავატორის ოპერატორი სამშენებლო უსაფრთხოების წესებისა და ტექნოლოგიური მოთხოვნების დაცვით ასრულებს მიწის სამუშაოებს საგზაო, საქალაქო, საირიგაციო, სამრეწველო და სხვა ტიპის მშენებლობებში.

II. დასაქმების სფერო

მძიმე სამშენებლო ტექნიკის (ავტოგრეიდერის, სატვირთველისა და ჰიდრავლიკური ექსკავატორის) ოპერატორი არის სპეციალისტი, რომელიც ემსახურება სამოქალაქო, სამრეწველო, საგზაო, სარკინიგზო და ჰიდროტექნიკური მშენებლობის ორგანიზაციებს.

III. დამატებითი მოთხოვნები

- პროგრამაზე დაშვების ასაკობრივი ზღვარი - 18 წელი;
- აღნიშნულ ტექნიკაზე მუშაობის დასაწყებად აუცილებელი მოთხოვნაა "ბ" და "ტ-2" კატეგორიის მძღოლის მართვის მოწმობები.

IV. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია

მძიმე სამშენებლო ტექნიკის (ავტოგრეიდერის, სატვირთველისა და ჰიდრავლიკური ექსკავატორის) ოპერატორის განათლება ერთსაფეხურიანია (III). საფეხურისთვის შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა შესაბამისი პროფესიული დიპლომი.

მძიმე სამშენებლო ტექნიკის (ავტოგრეიდერის, სატვირთველისა და ჰიდრავლიკური ექსკავატორის) ოპერატორის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 60 კრედიტს. აქედან, კრედიტების მინიმუმ 40% ეთმობა პრაქტიკას. კურსდამთავრებულს ენიჭება მძიმე სამშენებლო ტექნიკის (ავტოგრეიდერის, სატვირთველისა და ჰიდრავლიკური ექსკავატორის) ოპერატორის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა შესაბამისი პროფესიული დიპლომი.

V. მძიმე სამშენებლო ტექნიკის (ავტოგრეიდერი, სატვირთველი და ჰიდრავლიკური ექსკავატორი) ოპერატორის პროფესიულ კვალიფიკაციათა აღმწერი

მძიმე სამშენებლო ტექნიკის (ავტოგრეიდერი, სატვირთველი და ჰიდრავლიკური ექსკავატორი) ოპერატორის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის აღმწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.</p>	<p>იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> • შრომის უსაფრთხოება; • სანიველირე სარეზზე მითითებული ინფორმაციის მნიშვნელობა; • სამშენებლო ნახაზების კითხვა; • გრუნტის ტიპები და თვისებები; • შიგაწვისა და დიზელის ძრავების მუშაობის ზოგადი პრინციპები; საწვავი და საცხები მასალები; • მძიმე ტექნიკის ტიპები და დანიშნულება, ავტოგრეიდერის, სატვირთველისა და ჰიდრავლიკური ექსკავატორის სტრუქტურული აგებულება, ტექნიკური მახასიათებლები, უსაფრთხოდ მართვის, შემოწმებისა და მომსახურების მეთოდები, აღნიშნული ტექნიკით მიწის სამუშაოების წარმოების ტექნოლოგია, ჰიდრავლიკური ექსკავატორის ამწედ გამოყენება; • სატრანსპორტო საშუალებებზე ავტოგრეიდერის, სატვირთველისა და ჰიდრავლიკური ექსკავატორის დატვირთვის, დამაგრებისა და გადმოტვირთვის ოპერაციები; • იცნობს სამუშაო ობიექტზე ან ტერიტორიაზე სხვა პერსონალთან ურთიერთობის პირობით, ვიზუალურ და ხმოვან სიგნალებსა და ჟესტებს; • იცნობს ზოგადი და მძიმე ტექნიკის სატრანსპორტო საშუალებების მუშაობისას სავალდებულო, სპეციალურ ნორმებსა და მოთხოვნებს;
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია გამოიყენოს სფერო სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომა, შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები.</p>	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • სანიველირე სარეზზე მითითებული ინფორმაციის კითხვა; • სამშენებლო ნახაზების კითხვა; • ავტოგრეიდერის, სატვირთველისა და ჰიდრავლიკური ექსკავატორის უსაფრთხოდ მართვა, შემოწმება და შესაბამისი მომსახურების გაწევა; • ავტოგრეიდერით, სატვირთველითა და ჰიდრავლიკური ექსკავატორით მიწის სამუშაოების შესრულება; • ჰიდრავლიკური ექსკავატორის ამწედ გამოყენება; • ჯამბარის, ფოლადის მოქნილი გვარლისა და ჯაჭვის უსაფრთხო გამოყენება ჰიდრავლიკური ექსკავატორით ტვირთის აწევისას; ჯამბარის, ფოლადის მოქნილი გვარლისა და ჯაჭვის დათვალიერება და წუნდება; • სატრანსპორტო საშუალებებზე ავტოგრეიდერის, სატვირთველისა და

		<p>ჰიდრავლიკური ექსკავატორის დატვირთვა, დამაგრება და გადმოტვირთვა;</p> <ul style="list-style-type: none"> • მიმე ტექნიკით მომსახურებულ ობიექტზე ან ტერიტორიაზე სხვა პერსონალთან ურთიერთობის, პირობითი, ვიზუალური და ხმოვანი სიგნალებისა და ჟესტების აღქმა-გათვალისწინება; • საქმიანობის სწორად დაგეგმვა და ჩატარებულ სამუშაოებზე პასუხისმგებლობის აღება.
დასკვნის უნარი	შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წარმოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის სანდო წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი.	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • განსხვავებულ სიტუაციებში სამუშაო პროცესში გამოვლენილი პრობლემების შესწავლა; • საჭირო მონაცემთა შეგროვება, ანალიზი, პრობლემის შეფასება; • ნაკლოვანებების გამოვლენის შემთხვევაში მათ აღმოსაფხვრელად რეალური დასკვნების გამოტანა.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში, ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, შეუძლია უცხოური ენის პრაქტიკული გამოყენება.	<ul style="list-style-type: none"> • ნებისმიერ სიტუაციაში შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე; • შეუძლია უცხოური ენის პრაქტიკულად გამოყენება; • შეუძლია საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ეფექტიანი გამოყენება პროფესიული მიზნებისათვის.
სწავლის უნარი	შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება.	<ul style="list-style-type: none"> • შეუძლია საკუთარი სწავლის საჭიროებების დადგენა; • აქვს უნარი, განსაზღვროს კარიერული წინსვლის პერსპექტივები და შესაბამისად დაგეგმოს შემდგომი სწავლა.
ღირებულებები	განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად.	პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული ღირებულებების დაცვას, მოქმედებს მათ შესაბამისად და ხელს უწყობს უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნას.